ჰაბერი სიფათი

მოამზადა: ზურა ზოსიძე

მუსლიმთა ტრიბუნა

بسم الله الرحمن الرحيم

მწყალობელი და მოწყალე ალლაჰის სახელით

الحمد لله رب العالمين والصلاة والسلام على سيّدنا محمّد الأمين وبعد،

დიდება ალლაჰს სამყაროს ღმერთს, ლოცვა და მშვიდობა მის შუამავალ მუჰმმედს, "ამიინ", ამის შემდეგ:

სიფათი ჰაბერი არის მუთეშაბიჰი აიეთები რის შესახებაც ალლაჰი ბრძანებს:

هُوَ الَّذِي أَنْزَلَ عَلَيْكَ الْكِتَابَ مِنْهُ آيَاتٌ مُحْكَمَاتٌ هُنَّ أُمُّ الْكِتَابِ وَأُخَرُ مُتَشَابِهَاتٌ ۖ فَأَمَّا الَّذِينَ فِي قُلُوبِهِمْ زَيْغٌ فَيَتَّبِعُونَ مَا تَشَابَهَ مِنْهُ ابْتِغَاءَ الْفِتْنَةِ وَابْتِغَاءَ تَأْوِيلِهِ ۗ وَمَا يَعْلَمُ تَأْوِيلَهُ إِلَّا اللَّهُ ۗ وَالرَّاسِخُونَ فِي الْعِلْمِ يَقُولُونَ آمَنَّا بِهِ كُلٌّ مِنْ عِنْدِ رَبِّنَا ۗ وَمَا يَذَّكَّرُ إِلَّا أُولُو الْأَلْبَابِ

იგია, რომელმაც ზემოავლინა შენზე წიგნი. იმაშია ცხადი აიათები, რომელნიც წიგნის დედააზრს ქმნიან, და სხვა აიათები ერთმანეთის მსგავსი (ერთიმეორის მსგავსი. მის ზუსტ მნიშვნელობას ვერავინ ჩაწვდება.) ხოლო რომელთაც სიმრუდე უზით გულებში, ისინი იმათ მიყვებიან, რაც მიმგვანებულია, ცდილობენ გამოიწვიონ არეულობა და განმარტონ აიათები, არავინ იცის მისი (მგვანი-მუთეშაბიჰი აიათების) ახსნა, გარდა ალლაჰისა. მტკიცე ცოდნის მქონენი ამბობენ: ჩვენ ვიწამეთ ის, ყველაფერი ჩვენი უფლისგანაა! შეგონებას მხოლოდ გონიერნი მისდევენ!
(ყურანი სურა ალი იმრანი აიეთი 7)

სელეფი სალიჰინის თაობამ (საჰაბეებმა, თაბი’ინებმა და თებეუ’თებიინებმა, ანუ ამ სამ თაობას სელეფი სალიჰინი ჰქვია მათ შორის მეზჰების იმამებიცაა) შეთანხმდა მუთეშაბიჰ აიეთებზე რომ:
*ჩვენ არ ვიცით მათი მნიშვნელობა და შეუძლებელია მისი გაგება
*ჩვენ გვჯერა და არ ვუარყოფთ მუთეშაბიჰ აიეთებს.
*არ ვაკეთებთ თე’ვილს (განმარტებას)

იმამ ებუ მანსურ მათურიდმა (ალლაჰი იყოს მისგან კმაყოფილი) და იმამ ებუ ჰასან ელ ეშღარმა (ალლაჰი იყოს მისგან კმაყოფილი) ალლაჰის ჰაბერ სიფათს (თვისებას) გაუკეთეს თე’ვილი.
“მათურიდმა და ეშარმა ჰაბერი სიფათს ისეთი თე’ვილი გაუკეთა რაც ალლაჰს შეეფერებოდა და ეს თე’ვილი იყოს ისევ მისი (ალლაჰის) ზაათი, სუბუთი და ფიღლი თვისებებიდან, და ამის მიზეზი იყო ის რომ უცოდინრება ეს აიეთები გაიგეს არასწორად და და არასწორ პირდაპირ თე’ვილს აკეთებდნენ.”
ამის თვალსაჩინო მაგალითი იყო რომ მუშებბიჰეს და მუჯესსიმეს ჯგუფი (ფირყა) უკეთებდა თე’ვილს როგორც:
*იედი – ხელი
*ღაინი – თვალი
*ვეჯჰი – სახე
*ისთივა – ამაღლება
*ნუზული – ჩამოსვლა

ამის შემდეგ მათ თქვეს რომ ალლაჰს გააჩნია “ჯისიმი” ანუ “სხეული” როცა რომ იმამი აზამი ამბობს ფიყჰულ ექბერ სახელობის წიგნში “ბილა ჯისიმ” ანუ “ალლაჰს სხეული არ გააჩნია, მუშებბიჰეს და მუჯესიმეს აზრით ალლაჰს ჰქონდა: სხეული, ორი ხელი, ორი თვალი, სახე, ნეფსი და შეეძლო ასვლა ჩამოსვლა და ასე შემდგომ. როცა ასეთი არეულობა მოხდა ალლაჰი ამ თვისებებთან დაკავშირებით და ხალხი ვარდებოდა ქუფრში ეშღარმა და მათურიდმა მის ჰაბერი თვისებას გაუკეთეს თე’ვილი რაც ალლაჰს შეეფერება.

ამ რისალეთი შევეცდები მოკლედ ავხსნა ეს თვისებები, ალლაჰის ნებართვით.
ალლაჰი იყოს სწორი გზის მაჩვენებელი.

სად არ ალლაჰი?

قال الله تعالى :﴿ لَيْسَ كَمِثْلِهِ شَيْءٌ ﴾ [سورة الشورى آية 11]

უზენაესი ალლაჰი ბრძანებს:
“არაფერია მსგავსი მისი”
(სურა შურა, აიეთი 11)

وقال تعالى :﴿ وَلَمْ يَكُن لَّهُ كُفُوًا أَحَدٌ ﴾

უზენაესი ალლაჰი ბრძანებს:
“და არავინაა ბადალი მისი”
(სურა იჰლასი, აიეთი 4)

وقال النبي صلى الله عليه وسلم : »كان الله ولم يكن شىء غيره « رواه البخاري.

მვირფასი შუამავალი (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა იყოს მასზე) ბრძანრბს:
“ალლაჰი არსებობს, მაგრამ მისი არსებობა კონკრეტული ადგილისგან შორსაა”
(ბუჰარი, ბედულ ჰალყ 1, მეღაზი 67, 74; თევჰიდი 22, თირმიზი მენაყიბ 3946, ალი ელ მუთთექი ელ ჰინდი ქენზულ ‘უმმალი ჰადისის ნომერი: 29850)

عن الإمام المجتهد محمد بن إدريس الشافعي رضي الله عنه انه قال:
“إنه تعالى كان ولا مكان”
(إتحاف السادة المتقين 2/ 24).

იმამ მუჯთეჰიდ მუჰამმედ ბინ იდრის ეშ-შაფი’ი (ალლაჰი იყოს მისგან კმაყოფილი) უეჭველად ამბობს:
“უეჭველად უზენაესი ალლაჰი არსებობს მაგრამ მას კონკრეტული ადგილი არ გააჩნია.”
(ითჰაფულ საადეთულ მუთთეყინ 2/24)

როცა კითხვა დაუსვეს, იმამ ა’ზამ ებუ ჰანიფეს (ალლაჰი იყოს მისგან კმაყოფილი)
-სად არის ალლაჰი?
იმამი ა’ზამი (ალლაჰი იყოს მისგან კმაყოფილი) პასუხობს:
“უეჭველად ალლაჰის არსებობას კონკრეტული ადგილი არ გააჩნია”
(ფიყჰულ ებსატი ბაბულ იმანი სიფათ ბოლო გვერდი)

იმამ ა’ზამ ებუ ჰანიფეს ჰკითხეს
-სად არის ალლაჰი?
იმამი ა’ზამ ებუ ჰანიფემ უპასუხა:
“დიადი და უზენაესი ალლაჰი ცაში არ არის, პასუხი გასცა,
შემდგომ თქვა: “იგი თქვენთანა სადაც არ უნდა იყოთ” (სურა ჰადიდი, აიეთი 4),
ამ აიეთისგან რა ვისწავლეთ?
“თუ შენ ვინმეს მისწერთ წერილს “მე შენს გვერდით ვარ” ამ სიტყვების მსგავსადაა, რეალურად შენ მასთად ვერ იქნები.”
(ელ ბეიჰაყი, წიგნი ესმა ვე სიფათი 2/238)

“ისთივა” თვისევა ყურანში გვხვდება:

الرَّحْمَٰنُ عَلَى الْعَرْشِ اسْتَوَىٰ

“მოწყალემ (ალლაჰი) თავისი ძლევამოსილება ღარშისკენ მიმართა”
(ყურანი სურა ტაჰა 5)

“ისთივა არის თავისი ძლევამოსილების ღარშისკენ მიმართვა”
(თეფსირ ჯელალეინ ტაჰა 5)

იმამი ა’ზამი ამბობს:
“ისტივას უარმყოფელი ურწმუნოა”
(ფიყჰულ ებსატ)

ზოგიერთი ჯააჰილი (უცოდინარი) “ისთივას” განმარტავენ როგორც “ალლაჰი ღარშზე ამაღლდა” ან “ალლაჰი ღარშზე ზის” ან კიდევ “ალლაჰის ღარშზეა”. ალლაჰი არა ღარშზე არამედ ალლაჰი დროისა და ადგილისგან შორსაა.

იმამი ა’ზამ ებუ ჰანიფე ბრძანებს:
“ვისაც მიაჩნია ალლაჰის დანახვას მხარე (ჯიჰეთი) გააჩნია ან იგი კონკრეტულ ადგილზეა (მექანი) ის ურწმუნო გახდება”
(შერჰ ფიყჰულ ექბერ მოლლა ალი ელ ქარი გვ: 197-198)

ზოგიერთები ამბობენ:
“მე მჯერავს რომ ალლაჰი ღარშზეა მაგრამ კონკრეტულ ადგილს არ ვუთითებ.”
ეს იდია მიუღებელია რადგან თუ ვიტყვით ალლაჰი ღარშზეა მაშინ მის არსებობას ვუთითებთ მხარეს (ჯიჰეთს) რაც მიუღებელია ხოლო როგორც ცნობილია ღარშიც ალლაჰის გაჩენილია (შიუნ) და სად იყო ალლაჰი სანამ 7 ცას და ღარშს ან ქურს გააჩენდა? ასევე როგორც ცნობილია ღარშს აქვს კონკრეტული საზღვრები ანუ ტერიტორიული ადგილები და თუ ვიტყვით ალლაჰი არშზეა მაშინ აქედან გამომდინარე ვასკვნით რომ ალლაჰსავ აქვს ზომა რაც ქუფრია რადგან ალლაჰი ბრძანებს:
“არაფერია მსგავსი მისი” (შურა 11).

ალლაჰი არსებობს მაგრამ მას მექანისგან (ადგილისგაბ) და ზამანისგან (დროისგან) შორსაა ანუ არ გააჩნია. “კონკრეტული ადგილი უფრო ზუსტად კი კოორდინეტები და ასევე კონკრეტულ დროში არსებობა ადამიანის თვისებაა ამიტომ ალლაჰს დრო და ადგილი ვერ ექმება რადგან უზენაესი ბრძამებს: “არაფერია მსგავსი მისი” (შურა 11).

“ნუზული” თვისება

იმამი სუბქი თავის “ითჰაფულ ქაინათ ბი-ბეიანი სელეფი ვე ჰალეფ ფილ მუთესაბიჰათ” სახელობის წიგნში წერს:
<< ومعنى {ينـزل ربنا إلى سماء الدنيا} ينـزل رسوله أو رحمته >>
“განმარტება “იენზილუ რაბბუნაა ილაა სემაი’-დუნიაა”-სი არის: ჩამოდის გზავნილები (შუამავლები) და მისი (ალლაჰის) რაჰმეთი”

ზოგიერთები ამას პირდაპირ გებულობენ.
სიტყვა “ნუზული” ნიშნავს ჩამოსვლას მაგრამ “ჩამოსვლა” არის გაჩენილის საქციელი მაგალითად ცნობილი თემა: “ნუზულუ ღისაა მინე სემააი” რაც ნიშნავს “იესოს (მშვიდობა მას) ჩამოსვლა ციდან”
ან ყადირის სურეში ნახსენები: “თენეზზელუ მელაიქეთუ ვე რუუჰუ ფიიჰაა ბიზნი რაბბიჰიმ მინ ქულლი ემრ” მისი მნიშვნელობა არის: “ჩამოვლენ ანგელოზიები და სული (ჯებრაილი და იესო) დედამიწაზე ალლაჰი ბრძანებით”

ჯებრაილიც ანგელოზიებიც და იესოც (მშვიდობა მათ) არიან გაჩენილები და მათ შეუძლიათ "ჩამოსვლა" ანუ იგივე "ნუზული" მაშინ აქ ალლაჰის "ნუზული" არის "მეჯაზი" ანუ "გადატანითი" მნიშვნელობით, რადგან ალლაჰი არავის მსგავსია ამის მტკიცებულებაა:
"არაფერია მსგავსი მისი"
(შურა 11).

"ღაინი" თვისება

უმეცართაგან ზოგიერთი ამბობს ასეთ ურწმუნოენას: "ალლაჰს ორი თვალი აქვს", (ფევზანი, იბნ ბაზი , იბნ უსეიმანი და სხვები) ვინც ამას ამბობს ის არის ურწმუნო. ალლაჰს გააჩნია "ღაინი" თვისევა მაგრამ როგორც ვიცით "თვალი" იგივე "ღაინი" აქვს ალლაჰის გაჩენილს და ვერ ექნება ალლაჰს რადგან:
"არაფერია მსგავსი მისი"
(შურა 11).

“იედ” თვისება

წარმართთაგან ამბობენ:
“იედი” მისი მნიშვნელობა არის “ხელი”
ალლაჰის წიგნში ამის შესახებ წერია:

“يَدُ اللَّهِ فَوْقَ أَيْدِيهِمْ”

“ხელი (იგულისხმება ძლიერება) ალლაჰისა მათ ხელ ზედანაა”
(სურა ფეთიჰი აიეთი 10)

ასვე ალლაჰი ბრძანებს:
“იეჰუდები ამბობენ ალლაჰს ხელები შეკრული აქვსო (არაბული გამითქმა და ნიშნავს “მუნწს” მეჯაზი განმარტებით),...არა ალლაჰს ორივე ხელი გაშლილი აქვს (არაბული სიტყვა ორივე ხელის გაშლა “გულუხვლბას” ნიშნავს მეჯზი განმარტებით) სთხოვეთ მას....
(სურა მაიდე აიეთი 64)

იმამი აზამ ებუ ჰანიფე (რ.ა) ასეთნაირად ამობს:
* “იედი” ანუ “ხელი”
* “ვეჯჰი” ანუ “სახე” და ნეფსი ალლაჰს გააჩნია როგორც ალლაჰმა თქვა მის წიგნში.

იმამი აზამი ამბობს:
“ალლაჰის ხელი იგულისხმება მისი საქმიანობა , რიზყისა და ტამჯვის მის საქმიანობის თვისებას აღნიშნავს”
(შერჰ ფიყჰულ ექბერ მოლლა ალი ელ ყარი გვ: 324)

ალლაჰი ბრძანებს:

لَيْسَ كَمِثْلِهِ شَيْءٌ ۖ وَهُوَ السَّمِيعُ الْبَصِيرُ

“არაფერია მსგავსი მისი, რამეთუ იგია ყოვლისმსმენი, ყოვლისმხედველი”
(ყურანი სურა შურა 11)

ვინაიდან დავიმახსოვროთ “ოქროს წესი” ამ საკითხში:
“ვინც ადარებს ალლაჰს გაჩენილ მის თვისებებში ეს შირქია ხოლო როდესაც ალლაჰს ადარებენ ადამიანს თვისებებში ეს ქუფრი”

ალლაჰმა უკეთ იცის